




სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში

აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

 ----- ნოე ქაშიბაძე

30 ივნისი 2016 წელი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და
ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტი

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N39/36

2015 წლის 1 იანვარი - 2016 წლის 1 იანვარი

შინაარსი

დასკვნა კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.....	3
დეპარტამენტის საქმიანობის აღწერა.....	6
პირობითი მოსაზრების საფუძველი :.....	6
სხვა განსაკუთრებული გარემოებები :.....	8

დასკვნა კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის ხელმძღვანელობას

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის (შემდეგში „დეპარტამენტი“) მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით 2015 წლის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობის აუდიტი.

შესაბამისობის აუდიტის მიზანი

შესაბამისობის აუდიტის მიზანია, აუდიტორმა გამოიტანოს დასკვნა დეპარტამენტის მიერ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობა რამდენად შესაბამისობაშია:

- კანონმდებლობასთან
- მარეგულირებელ ნორმებთან
- სახელშეკრულებო მოთხოვნებთან
- შიდა ორგანიზაციულ პოლიტიკასა და პროცედურებთან

აუდიტის მიზანს წარმოადგენს, დეპარტამენტის მიერ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობის შემოწმება არსებითი გავლენის მქონე საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის კუთხით, მათ შორის:

- საქართველოს კანონი - საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;
- საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესი“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანება №9-ის „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №424 ბრძანება „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს პერზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“;

- საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულება „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 21 დეკემბრის N439 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქცია;
- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის №422 განკარგულება „საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის N172 დადგენილება „საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცებისა და საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქცია;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 30 ივლისის №605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ შესახებ;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ 2015 წლის კანონი;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 13 მარტის დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 18 სექტემბრის №39 დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 27 დეკემბრის N 33 დადგენილება - „სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენების წესის შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 25 სექტემბრის N 28 დადგენილება - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებში სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2007 წლის 30 მარტის №23 დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა დეპარტამენტის მიერ მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით 2015 წლის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობა:

- დეპარტამენტის 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა და დამტკიცება;
- დეპარტამენტის საქმიანობის განსახორციელებლად მიღებული დაფინანსება, მიმდინარე და კაპიტალიზირებული ხარჯები;
- ნორმატიული აქტებით დეპარტამენტზე დაკისრებული მოვალეობების შესრულების მდგომარეობა;

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულება

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც ანალიზის, რისკების ან ნაკლოვანების სახით გამოვლენილი იქნება განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომ გამოირიცხოს შეცდომით ან განზრახ არამართლობიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეული არსებითი კანონშესაბამიანობები.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობაა აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება დეპარტამენტის მიერ მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით 2015 წლის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობის შესახებ. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4100) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა დეპარტამენტის მიერ 2015 წელს საბიუჯეტო თანხების ხარჯვის მიზნობრიობა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

დეპარტამენტის საქმიანობის აღწერა

დეპარტამენტის მმართველობის სფეროსა და ძირითად ამოცანებს განეკუთვნება:

- ა) ზემო აფხაზეთის, გალის რაიონის და საქართველოს რეგიონებში განსახლებული დევნილი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ხელშეწყობა, მათი დასაქმება სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების საქმეში, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარებაში დახმარების გაწევა, აფხაზეთის აგროსასურსათო სექტორის რეაბილიტაციის პროექტების შემუშავება და მათი განხორციელება;
- ბ) აფხაზეთის სამელიორაციო, აგრონომიული, საინჟინრო-ტექნიკური და სხვა სახის მომსახურეობის სტიმულირება და განვითარება;
- გ) სოფლის მეურნეობის, კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის წარმოებისათვის ხელშეწყობა;
- დ) მიწის მართვის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- ე) კომპეტენციის ფარგლებში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების, სოფლის მეურნეობის მმართველობითი რგოლების ორგანიზაციული-მეთოდური ხელმძღვანელობა და კონსულტირება;

მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია განხორციელებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობის კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე პირობითი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი :

სამივლინებო ხარჯები

2015 წლის 9 მარტიდან 8 აპრილის ჩათვლით, დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებების საფუძველზე გარდაბნის რაიონში, რუსთავის გზატკეცილის მე-17 კილომეტრზე განთავსებული სასათბურე კონსტრუქციების დემონტაჟის პროცესში ჩართვისა და მონიტორინგის მიზნით, მივლინებულ იქნა 5 თანამშრომელი. მივლინებული თანამშრომლების ტრანსპორტირება ხდებოდა დეპარტამენტის სარგებლობაში არსებული ავტომობილებით და მათზე ჯამში ანაზღაურდა სამივლინებო (სადღელამისო) თანხა 780.00 ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხების ჩარიცხვა მოხდა არამართებულად, ვინაიდან დადგენილი კანონმდებლობის¹ მიხედვით 30 კმ-მდე მანძილზე მივლინებისას, როდესაც შესაძლებელია სამუშაო (საცხოვრებელ) ადგილზე იმავე დღეს დაბრუნება, ხდება მხოლოდ მგზავრობის ხარჯების ანაზღაურება.

¹ საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის პირველი პუნქტი; საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ ბრძანებულების პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტით დამტკიცებული „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესის“ მე-7 პუნქტი;

ავტოსატრანსპორტო საშუალებები

2015 წლის განმავლობაში დეპარტამენტის თავმჯდომარეზე სარგებლობისათვის განპიროვნებულ ავტომობილზე Mercedes Benz E230 გაიხარჯა 6,161.34 ლარის ღირებულების 3,708.87 ლიტრი საწვავი. ამასთან იმ პირობებში, როდესაც ადგილი არ ჰქონია სამსახურებრივ მივლინებებს 9 შემთხვევაში დაფიქსირდა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში ბენზინგასამართ სადგურებზე საწვავის ჩასხმის ფაქტები (ზესტაფონში 5-ჯერ, ზუგდიდში 2-ჯერ, ქუთაისში 1-ჯერ, ქობულეთში 1-ჯერ);

დადგენილი კანონმდებლობის მიხედვით² მოსამსახურე მოვალეა შვებულებაში გასვლამდე, სამსახურთან დაკავშირებით მისთვის მინდობილი ქონების დასაბრუნებლად მიმართოს ამისათვის დანიშნულ პირს, რომელიც ვალდებულია ჩაიბაროს ქონება, თუმცა დეპარტამენტის თავმჯდომარის შვებულებაში გასვლამდე (25 ივლისი - 24 აგვისტო) განპიროვნებული ავტომობილის გადაცემა უფლებამოსილ პირზე არ მომხდარა, ხოლო ავტომობილზე, რომელიც დეპარტამენტის თავმჯდომარის ოფიციალურად შვებულებაში ყოფნის პერიოდში იმყოფებოდა მის სარგებლობაში, გაიხარჯა 546.00 ლარის ღირებულების 300 ლიტრი საწვავი;

აუდიტის პერიოდში განპიროვნებული ავტომობილის საშუალო დღიურმა გარბენმა³ შეადგინა 85,9 კმ. მიუხედავად დეპარტამენტის მიერ წამოდგენილი ინფორმაციისა, რომლის თანახმადაც დღიური გარბენის ესოდენ მაღალი მაჩვენებელი განპირობებული იყო თავმჯდომარის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების გამო ინტენსიური გადაადგილებით, აუდიტის ჯგუფისათვის ვერ იქნა წარმოდგენილი სხვა ალტერნატიული მტკიცებები (საწვავის ხარჯვისა და ავტოსატრანსპორტის გარბენის კონტროლის დამადასტურებელი მექანიზმები)⁴, რომლითაც ადეკვატურად დადასტურდებოდა საწვავის ესოდენ მაღალი ხარჯვისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების გარბენის რეალობა;

დეპარტამენტი ასევე სარგებლობდა სამორიგეო ავტომობილით - Honda CR-V, რომელზეც გაიხარჯა 6,756.76 ლარის ღირებულების 4,067.46 ლიტრი საწვავი. 2015 წლის განმავლობაში სამსახურებრივი მივლინების გარეშე ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში 9 შემთხვევაში დაფიქსირდა ბენზინგასამართ სადგურებზე საწვავის ჩასხმის ფაქტები (ხაშურში 3-ჯერ, ზუგდიდში 3-ჯერ, გურჯაანში 1-ჯერ, ფოთში 1-ჯერ, ქუთაისში 1-ჯერ). გარდა აღნიშნულისა, ავტომობილის გამოყენების (საწვავის ჩასხმის) ფაქტი ასევე დადასტურდა 33 შემთხვევაში დასვენების (შაბათ-კვირა) დღეებშიც, როგორც თბილისში 30 შემთხვევა (კახეთის გზატკეცილი თბილისის გასასვლელი - 8-ჯერ, დიღომი აღმაშენებლის მე-13 კმ თბილისის გასასვლელი - 3-ჯერ, ვაკე თამარაშვილის ქუჩა - 1-ჯერ, ორთაქალა - 15-ჯერ,

² საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 58-ე მუხლის პირველი პუნქტი;

³ მაჩვენებელი მიღებულია ქალაქის პირობებში 100 კმ-ზე 14 ლიტრი საწვავის ხარჯვის გათვალისწინებით და თვეში 30 კალენდარულ დღეზე გადანაგრიებით;

⁴ „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-6 პუნქტი, მე-6 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები და მე-10 მუხლი;

საბურთალო - 3-ჯერ) ასევე, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში 3 შემთხვევა (ზუგდიდი - 1-ჯერ, ფოთი - 1-ჯერ, ხაშური - 1-ჯერ);

2015 წლის 25 სექტემბრიდან, სამორიგო ავტომობილით სარგებლობის მოწესრიგებისა და ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით წარმოებულ ჟურნალში არ იყო მითითებული ავტოსატრანსპორტო საშუალების დაბრუნების დროის შესახებ მონაცემები;⁵

სამორიგო ავტომობილის მიერ საშუალო დღიურმა გარბენმა შეადგინა 80,7 კმ. მიუხედავად დეპარტამენტის მიერ წამოდგენილი ინფორმაციისა, რომლის თანახმადაც დღიური გარბენის ესოდენ მაღალი მაჩვენებელი განპირობებული იყო დეპარტამენტის საქმიანობიდან გამომდინარე, ავტომობილის სამსახურეობრივი მიმოსვლისათვის ინტენსიური გადაადგილებით, აუდიტის ჯგუფისათვის ვერ იქნა წარმოდგენილი სხვა ალტერნატიული მტკიცებები (საწვავის ხარჯვისა და ავტოსატრანსპორტის გარბენის კონტროლის დამადასტურებელი მექანიზმები)⁶, რომლითაც ადეკვატურად დადასტურდებოდა საწვავის ესოდენ მაღალი ხარჯვისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების გარბენის რეალობა.

პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლის აზრად აღწერილი საკითხების გარდა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის მიერ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობა ყველა არსებით ასპექტში შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

სხვა განსაკუთრებული გარემოებები :

დროებით სამსახურში არმყოფი მოხელის მოვალეობის შესრულება

2015 წლის 25 ივლისიდან 23 აგვისტოს ჩათვლით დეპარტამენტის თავმჯდომარის შვებულების პერიოდში, დეპარტამენტში გამოცემული ბრძანებით,⁷ საკუთარი სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებისაგან განთავისუფლების გარეშე, თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებდა ერთ-ერთი მოადგილე. დადგენილი კანონმდებლობის მიხედვით⁸ ამ შემთხვევაში, მოადგილეს საკუთარი ხელფასის გარდა

⁵ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 25 სექტემბრის N 28 დადგენილების - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებში სამსახურეობრივი ავტომანქანების გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-2 მუხლის დ) პუნქტი და მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი;

⁶ „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-6 პუნქტი, მე-6 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები და მე-10 მუხლი;

⁷ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2015 წლის 28 ივლისის N22/01-31/01/23 ბრძანების „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის თავმჯდომარის შვებულების შესახებ“ მე-2 მუხლი;

⁸ საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 57-ე მუხლის მე-4 პუნქტი;

ეკუთვნოდა დანამატი არმყოფი მოხელის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით (თავმჯდომარის ხელფასი - 2,650.00 ლარი), თუმცა მასზე გაცემული იყო მხოლოდ მოადგილის საშტატო განაკვეთით გათვალისწინებული ხელფასი 1,730.00 ლარის ოდენობით.

სამუშაოზე გამოცხადების ჟურნალი

აუდიტის პერიოდში დეპარტამენტში არ იყო ნაწარმოები თანამშრომელთა სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვის (მოსვლა-წასვლის) ჟურნალი.⁹

აუდიტის ჯგუფი:


უფროსი აუდიტორი

აუდიტორ - ასისტენტი

აუდიტორ - ასისტენტი

აუდიტორ - ასისტენტი

30 ივნისი 2016 წელი



ბონდო გასვიანი

მიხეილ გოდოლაძე

ეთერ კაცაძე

ნინო ბრეგვაძე

⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ 30-ე მუხლის მე-15 პუნქტი;